მე-6 საოპერაციო ფაზა, ინოვაციების პროგრამა სოციალური ჩართულობა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათზე ორიენტირებული განვითარება

შესავალი

მსოფლიოში, ერთ მილიარდზე მეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი და მათი ოჯახები, კლიმატის ცვლილების შედეგად გამოწვეულ და სხვა გლობალური გარემოსდაცვითი პრობლემების შედეგებს არათანაბარზომიერად განიცდიან. მაშინ, როცა სხვადასხვა ჯგუფები/თემები მდგრადი განვითარების მიზნით პროექტებს ახორციელებს, საჭიროა, რომ მათ შემუშავებასა და განხორციელებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებიც ჩაერთონ. იმ ფონზე, როცა შშმ პირები ხშირად გარიყულები ხდებიან და ბარიერებს აწყდებიან საზოგადოებაში სრული ჩართულობის მხრივ, საჭირო ხდება მათი შეხედულებების მოსმენა და გათვალისწინება, რათა გადაწყვეტილებების მიღებისას მათი ხედვა სათანადოდ იქნას გათვალისწინებული.

გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მცირე გრანტების პროგრამა, რომელსაც გაეროს განვითარების პროგრამა ახორციელებს, ადგილობრივ დონეზე შესაძლებლობების განვითარების გზით ცდილობს გლობალური გარემოსდაცვითი გამოწვევების დაძლევასა და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფას. მცირე გრანტების პროგრამა 1992 წელს ამოქმედდა და როგორც ფინანსურ, ასევე ტექნიკურ დახმარებას უწევს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, გარემოს დაცვისა და კონსერვაციის მიზნით ასევე ადამიანების კეთილდღეობისა და საარსებო საშუალებების გაუმჯობესების კუთხით. მცირე გრანტების პროგრამის მთავარი ქვაკუთხედი შემდეგში მდგომარეობს: ადგილობრივ დონეზე განხორციელებულმა საქმიანობამ წვლილი შეიტანოს გლობალურ გარემოსდაცვითი საკითხების მოგვარებაში, ამავე დროს კი ხელი შეუწყოს საარსებო საშუალებების მდგრადობას და თემების შესაძლებლობების გაძლიერებას ადგილობრივ დონეზე. მცირე გრანტების პროგრამა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სოციალურ ჩართულობას, და ისეთ პროექტებს რომლებიც მხარს უჭერენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესებში და მათი თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას.

ინოვაციების პროგრამის მთავარი საგანი

შშმ პირებზე მიმართული ინოვაციების პროგრამის მთავარი მიზანია - შშმ პირების აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა და ჩართულობა გარემოს-დაცვით პროექტებში და კარგი

გამოცდილების დემონსტრირება და საუკეთესო მაგალითების წარმოჩენა როგორც გარემოსდაცვით ასევე სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით.

შემდეგ კი შესაძლებელი იქნება, რომ შეფასდეს, თუ რამდენად ეფექტურია როგორც აღნიშნული საპილოტე პროექტებიდან მიღებული გამოცდილება, ასევე ინდიკატორები, როგორც შეზღუდული შესაძლებლობების ინკლუზიის საზომი. ეს კი გათვალისწინებული იქნება როგორც მცირე გრანტების პროგრამის ასევე გაეროს განვითარების პროგრამის სხვა პროექტების ფარგლებში სამომავლო სახელმძღვანელო დოკუმენტების და სტრატეგიის შემუშავებისას, კერძოდ კი იმ საქმიანობაში რომელიც კლიმატის ცვლილების მიმართ მდგრადობას უკავშირდება.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ორგანიზაციებთან თანამშრომლობა უმნიშვნელოვანესი იქნება იმის უზრუნველსაყოფად, რომ სახელმძღვანელო დოკუმენტები და სამომავლო სტრატეგიები შშმ პირების თემის მრავალფეროვან პერსპექტივებს პასუხობდეს და არაფერი შემუშავდეს შშმ პირებისთვის „ჩვენს შესახებ, ჩვენს გარეშე“ მიდგომის დაუცველად. საპილოტე პროექტებიდან მიღებული გამოცდილებაც ასევე შეიძლება გაზიარებული იქნას გლობალური პლატფორმების მეშვეობით.

„ინოვაციების პროგრამა“ შემდეგი კომპონენტებისგან შედგება:

გრანტების გაცემა ქვეყნის დონეზე: „მცირე გრანტების პროგრამა საქართველოში“ მხარს დაუჭერს 2-3 სათემო პროექტს, რომელიც თანხვედრაში იქნება იმ პრიორიტეტულ ინიციატივებთან რაც უკავშირდება შშმ პირების სოციალურ ჩართულობას. შშმ პირების სოციალური ინკლუზიური პროექტების პრიორიტეტული თემებია[1]:

- კლიმატის ცვლილების ადაპტაცია და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები
- ქალების გაძლიერება და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები
- ახალგაზრდები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები

საგრანტო პროგრამა ასევე ითვალისწინებს მდგრადი განვითარების მიზნების ხელშემწყობი სხვადასხვა სექტორების ურთიერთ შეთანხმებულ საქმიანობის და სენდაის „კატასტროფის რისკის შემცირების სამოქმედო ჩარჩოს პროგრამის“ პრინციპების გათვალისწინებას. გარდა ამისა, შესაძლებელი უნდა იყოს დაფინანსებული ინიციატივებით შშმ პირების საუკეთესო გზით ჩართვა განვითარებაზე მიმართულ დაგეგმვაში, მონიტორინგსა და შეფასებებში.

მონაწილეობისთვის საჭირო მოთხოვნები და კრიტერიუმები

1 უფრო დეტალურად იხილეთ მცირე გრანტების პროგრამის სტრატეგია
https://www.undp.org/content/dam/georgia/docs/prodocs/GE_GEFSGP_OP5_CountryStrategy_eng.pdf

- განმცხადებლებმა შეიძლება 50,000 აშშ დოლარამდე ოდენობის გრანტი მოითხოვონ, რომელიც ერთი ან ორი წლის განმავლობაში უნდა იქნას ათვისებული.

- შემოთავაზებული პროექტები უნდა იყოს ამბიციური, ინოვაციური და ტრანსფორმაციული. ამას გარდა, მათ განმეორებით განხორციელების და მასშტაბის გაზრდის პოტენციალი უნდა გააჩნდეთ.

- წარმატებული პროექტები ძლიერ სოციალურ ჩართულობას უნდა ითვალისწინებდეს, მათ შორის გენდერულს თანასწორობას და ქალთა გაძლიერებას, ახალგაზრდებისა და ადგილობრივი თემების გაძლიერებას.

- პროექტები შესაძლებელია ორიენტირებული იყოს გარემოს კონსერვაციაზე, ტექნოლოგიების გაუმჯობესებაზე, ცნობიერების გაზრდაზე და სხვა, მაგრამ ყველა განმცხადებელმა ცალსახად უნდა წარმოაჩინონ თუ რა წვლილს შეიტანენ ინიციატივები გლობალურ გარემოსა და საარსებო საშუალებების გაუმჯობესებაზე.

- „მცირე გრანტების პროგრამის“ ფარგლებში პრიორიტეტები მიენიჭება ინიციატივებს, სადაც შესაძლებელი იქნება ახალი პარტნიორობის დამყარება და დამატებითი რესურსების მობილიზება (მაგ. თანადაფინანსება საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, ფონდებიდან, კერძო სექტორიდან) პროგრამის და პროექტის დონეებზე.

მოწვევა საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და პროცესის აღწერა

- საწყის ეტაპზე, დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ, მოკლე საპროექტო განაცხადები / პროექტის კონცეფციები რომელთა მოცულობა ორ გვერდს არ აღემატება. პროექტის კონცეფციებში მოცემული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია: პროექტის მიზანი, ამოცანები, მოსალოდნელი შედეგები, დაგეგმილი დანახარჯები, თანადაფინანსების წყაროები, პროექტის მდგრადობა და მეთოდოლოგია; ასევე, თუ როგორ შეუწყობს პროექტი ხელს შშმ პირების მონაწილეობას გარემოსდაცვით პროექტებში და შესაძლებელს გახდის კარგი შედეგების მიღებას როგორც გარემოსდაცვით, ასევე სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებთან მიმართებაში.

- ორგანიზაციას შეუძლია წარმოადგინოს საპროექტო განაცხადი ქართულ ან ინგლისურ ენაზე. მოკლე საპროექტო განაცხადი შეიძლება წარმოდგენილ იქნას როგორც ელექტრონულად, ისე ამობეჭდილი სახით შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: ana.shubitidze@undp.org ან/და კოკა კლდიაშვილის ქ. 2, მე-2 სართული, არა უგვიანეს ამა წლის 11 ოქტომბრის 18:00 საათამდე. დაგვიანებული განაცხადები არ განიხილება.

- ის ორგანიზაციები, რომელთა მოკლე საპროექტო განაცხადი დაიმსახურებს მოწონებას, შეძლებენ შემოიტანონ სრული საპროექტო წინადადება ქართულ ან ინგლისურ ენაზე 2019 წლის ნოემბერში

- იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს როგორც მოკლე საპროექტო განაცხადის, ასევე სრული საპროექტი წინადადებების შესაბამისობა გლობალური პროექტის დოკუმენტის, GEF-ის და პროგრამის სტრატეგიის მოთხოვნებთან, მცირე გრანტების პროგრამა საქართველოში უზრუნველყოფს ყოველკვირეულ საკონსულტაციო შეხვედრებს საგრანტო კონკურსში მონაწილე დაინტერესებული ორგანიზაციებისათვის. საკონსულტაციო შეხვედრები გაიმართება ყოველ პარასკევს 15:00 -დან 18:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: კოკა კლდიაშვილის ქ. 2, მე-2 სართული, საკონსულტაციო შეხვედრაზე დასწრების სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ წინასწარ აცნობოთ პროექტის ეროვნულ კოორდინატორს.

დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ:

ანა შუბითიძე
პროგრამის ეროვნული კოორდინატორი
GEF მცირე გრანტების პროგრამა საქართველოში
ელ-ფოსტა: ana.shubitidze@undp.org
მობილური: 599 57 34 36
კოკა კლდიაშვილის ქ. 2, მე-2 სართული,
თბილისი 0179, საქართველო
www.ge.undp.org
www.sgp.undp.org